ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგი იმნაიშვილის 2025 წლის 1 იანვრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული საქმიანობისა და მოსახლეობასთან შეხვედრის

ანგარიში

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

სოფელი, თემი, დაბა: შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 16. 10. 2025 წელი 14:00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული, დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **გიორგი იმნაიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე** და ამომრჩევლები.

დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა,** აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთერთი საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარებას. მან ისაუბრა ამომრჩეველთა პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ჰქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) მათი ძირითადი მოთხოვნა სოციალურ პრობლემებსა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ეხებოდა არაერთ მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა მედიკამენტების, თუ სამკურნალო- საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის ფარგლებში. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად მონაწილეობდა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად საკრებულოს დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა** წარადგინა 2025 წლის 1 იანვრიდან დღეის მდგომარეობით მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. და აღნიშნა, რომ უფლებამოსილებას შეუდგა 2021 წ. 4 დეკემბერს. არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე. ასევე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი .

დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა** ყურადღება გაამახვილა საკრებულოს იმ კომისიის საქმიანობაზე, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. კომისიამ საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში ჩაატარა კომისიის 6 სხდომა. განიხილა 13 საკითხი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს რეაგირებისთვის გადაეგზავნა 5

პრობლემური საკითხი. კომისიამ განიხილა მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები. საკრებულოს შესაბამისი კომისია და მისი წევრები საანგარიშო პერიოდში აქტიურად მონაწილეობდნენ მათ შერჩევაში და განხორციელების მონიტორინგში.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია და მისი წევრები საანგარიშო პერიოდში აქტიურად მონაწილეობდნენ პროექტების შერჩევასა და განხორციელებაში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო მაჟორიტარი დეპუტატების აქტიური მონაწილეობა ამ მხრივ.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წელს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გაცილებით მეტი თანხებია გათვალისწინებული, ვიდრე გასულ წლებში.

რეგიონული განვითარების ფონდის მიერ ჯამში 7 594 529 მილიონამდე თანხა იხარჯება.

ეს თანხები განაწილებულია შემდეგ პროექტებზე:

ქალაქ ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგებაშვილის, ებრალიძის, ჭავჭავაძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი), რ. ებრალიძის, საფო მგელაძის, ჩაჩავას და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაცია-820 436 ლარი.

ქ. ლანჩხუთში სპორტული დარბაზების მშენებლობა 1 831 301 ლარი.

ჯურუყვეთის ცენტრალური გზისა და ლესის გზის რეაბილიტაცია 2 094 262 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდმაღალაში შიდა სასოფლო გზის და სოფელ შრომისუბანში მოედნის გზის რეაბილიტაცია 2 245 723 ლარი.

მაჩხვარეთის, ჩიბათის, ღრმაღელის, სუფსის და ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონების მშენებლობა 602 807 ლარი.

აშენდა ახალი ბაღები აკეთის, ნიგვზიანის, ჩოჩხათის, ნინოშვილის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სრულდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ აკეთის, ჯურუყვეთის, ღრმაღელის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.

დასრულების ფაზაშია ჩოჩხათის, ნიგვზიანის, ჯურუყვეთის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაზმომარაგების სამუშაოები. ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი იქნება ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი, რაც ძალიან მისასალმებელი ფაქტია. სტიქიის შედეგად მოხდა დაზიანება, თორემ დღეს იქნებოდა ბუნებრივი აირი ჩართული.

სოფლის პროგრამის ფარგლებში, ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში 55-ვე სოფელში 748 ათასი ლარის სამუშაოები მიმდინარეობს. აქტიური ჩართულობით, სოფლის კრებებზე მოხდა იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელიც შემდგომ აღნიშნულ პროგრამაში იქნა გათვალისწინებული.

ზემოთ რამდენჯერმე აღინიშნა სტიქიის თემა. მინდა გაცნობოთ, რომ სტიქიის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 23 185 279 ლარი იხარჯება.

თანხების გადანაწილებულია შემდეგ ობიექტებზე:

ა) სტიქიის შედეგად დაზიანებულის ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია 3 628 684 ლარი.

ბ) დაზიანებული ხიდების რეაბილიტაცია 3 199 145 ლარი.

გ) აცანა-მამათის დამაკავშირებელ გზაზე სამაგრი კედლის მოწყობა და შრომისუბანში დამეწყრილი მონაკვეთის აღდგენა 8 245 542 ლარი.

დ) დაზიანებული გზების რეაბილიტაცია 4 694 940 ლარი.

ე) დაზიანებული სანიაღვრე არხების აღდგენა 3 416 968 ლარი.

ადგილობრივ ბიუჯეტით დაფინანსდა 992 226 ლარის სამუშაოები. თანხები გადანაწილდა შემდეგ ობიექტებზე:

ა) ჩიბათის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობა 68 000 ლარი.

ბ) სუფსის სამუსიკო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა 46 424 ლარი.

გ) ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჭინათში სასმელი წყლის რეაბილიტაცია 88 802 ლარი.

დ) ქ. ლანჩხუთში საქმიანი ეზოს მოწყობის სამუშაოები 789 000 ლარი.

დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა** შუხუთის მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მოეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

მოქალაქე **ნუგზარ ორაგველიძე** დაინტერესდა რა შემთხვევაში ეხმარება სახელმწიფო მოსახლეობას საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავების შეკეთებისას.

დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა** უპასუხა, რომ პროექტი დასრულებულია და მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია მხოლოდ წმინდა გიორგის ქუჩის და საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული ქუჩის ასფალტირება, რაც შეეხება სახურავების პროექტებს, სახელმწიფო ეხმარება მოსახლეობას სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების აღდგენაში.

დეპუტატმა **გიორგი იმნაიშვილმა** სიტყვა გადასცა შუხუთის, ქვიანის, ჯაპანის, ჩოლობარგის, ჭყონაგორის და ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულებში მაჟორიტარ დეპუტატს **ზაზა წულაძეს.** დეპუტატი **ზაზა წულაძე** მიესალმა ადგილობრივ მოსახლეობას. დეპუტატმა ისაუბრა სოციალურ დახმარების კუთხით.

საკრებულოს დეპუტატი **გიორგი იმნაიშვილი** მოსახლეობას დაპირდა პრობლემების შეძლებისდაგვარად მოგვარებას, მადლობა გადაუხადა მოსახლეობას თანადგომისთვის და საკრებულო აპარატს თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,